ოქმი:**ო12. 3725354001**

თარიღი:**20/12/2025**

ოქმი N 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2025 წელი, 19 დეკემბერი
ქ.ოზურგეთი
16:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ტატა ბარამიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. გოლიაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. ჭანიშვილი, ი. დობორჯგინიძე, გ. კალანდაძე, თ. ქავთარია, კ. კვაჭაძე, გ. ჩავლეშვილი, თ. ბადალაშვილი, ვ.ხავთასი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დ. დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დ. კიკვაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი პ.ჭყონია, პასუხისმგებელი მუშაკი: გ. ჩაგანავა.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

"ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის განხილვის შესახებ"

მომხსენებელი: ტატა ბარამიძე

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, ტატა ბარამიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტზე, აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოტანილი იქნა არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში და პროცედურების დაცვით. კომისიის წევრებს მოახსენა მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის თაობაზე, მან ძირითადად ისაუბრა იმ პროგრამულ და ქვეპროგრამულ ცვლილებებზე, რომლებიც შეტანილია არსებულ წესში, აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანი ზრდაა ონკოდაავადებულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა დახმარებების პროგრამების დაფინანსებაში.

შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადაეცა პ. ჭყონიას, რომელმაც

კომისიის წევრებს გააცნო 2026 წლის კორექტირებული ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები. მან აღნიშნა, რომ 2026 წლის ბიუჯეტში ჯანდაცვის პრიორიტეტი გაზრდილია 113 ათასი ლარით. ასევე წინა წლებთან შედარებით გაიზარდა ცალკეული პროგრამების დაფინანსება. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და წარმოდგენილი საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის ბიუროს და საკრებულოს სხდომას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ტატა ბარამიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი